



# ფოკუს ჯგუფის შედეგები

თემაზე: უსაფრთხო გარემო და ყოფითი პრობლემები

2019 წელი

# მეთოდოლოგია

- თარიღი: 9 სექტემბერი, 2019
- კვლევა ჩატარდა საკრებულოს აპარატის მიერ
- სად: თელავი
- 2 ფოკუს ჯგუფი
- მონაწილე -7 ადამიანი

შეირჩა თელავის მუნიციპალიტეტის სერვისებით მოსარგებლე პირები და შშმ პირები



# კვლევის თემა

2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი  
საჭიროებების დაფინანსების შესახებ

# რა გსმენიათ მუნიციპალური სერვისების შესახებ

მონაწილეები რა პროგრამებითაც სარგებლობენ იცოდნენ ის სერვისები:

- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა:
- ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების ქვეპროგრამა:
- დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დაფინანსების ქვეპროგრამა:

# რა საშუალებებით შეიტყვეთ მუნიციპალური სერვისების არსებობის შესახებ

- მონაწილეების ყველაზე ხშირი პასუხი იყო:

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურისა და აღნიშნული სერვისით მოსარგებლე პირებისგან.

# არის თუ არა თქვენთვის საკმარისი მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სოციალური პროგრამები?

სოციალური პროგრამების მიმართ განწყობები დამაკმაყოფილებელია.  
მონაწილეებს სარგებლობენ სოციალური პროგრამების უმრავლესობით.

# არის თუ არა საკმარისი მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა თავშესაფრით უზრუნველყოფისთვის?

- მონაწილეებმა ერთხმად აღიარა, რომ გამოყოფილი 100 ლარის სრულად გადახდა არ ხდება რის გამოც ბენეფიციარებს უწევთ თანხის დამატება, ასევე სურვილი გამოთქვას მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ქირის ნაცვლად მათთვის თავშესაფრების მოძიება, რადგან მათ მიერ ნაქირავები ბინების უმრავლესობა არის საცხოვრებლად უვარგისი და უწევთ არაადამიანურ პირობებში ცხოვრება.

# რა შედეგათების გავრცელებას ისურვებდით?

- მოწვეული ბენეფიციარების უმრავლესობისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა თავშესაფრით უზრუნველყოფა.
- სათბობით უზრუნველყოფისთვის თანხის გაზრდა.
- ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირზე ქირით უზრუნველყოფის პროგრამის გავრცელება.



# მუნიციპალური პროგრამის სარგებლობისას ხომ არ შეგქმნიათ რაიმე ბიუროკრატიული წინააღმდეგობა?

- ყველამ ერთხმად აღნიშნეს, რომ არანაირი ბიუროკრატიული წინააღმდეგობა არ შეგქმნიათ

# მნიშვნელოვანი დასკვნები

1. სოციალური ქვეპროგრამით გამოყოფილი ქირის თანხა არასაკმარისია და შესაბამისად არაეფექტურიც.
2. მოსაძიებელია ალტერნატიული გზა თავშესაფრის არმქონე პირებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფად.
3. სოციალურ პროგრამაში შესატანია ცვლილება, კერძოდ, ცვლილების შედეგად უნდა მოიხსნას ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისთვის ქირით ან თავშესაფრით უზრუნველყოფის გავრცელების შეზღუდვა. ( დადგენილია პირის 5 წლიანი ფაქტობრივი ცხოვრების მოთხოვნა)
4. სათბობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხა არასაკმარისია სათბობით უზრუნველყოფისთვის და აუცილებელია მისი გაზრდა.
5. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა არის არაეფექტური ვინაიდან აღნიშნული დახმარების გაცემისას ადგილი აქვს გარკვეულ ხარვეზებს, რომლის გამოც აღნიშნული პროგრამის მიზანი არ სრულდება.
6. ბენეფიციარების სურვილია პერიოდულად შესწავლილ იქნას მათი სოციალური მდგომარეობა, რათა მუნიციპალური პროგრამები იყოს მათზე მორგებული.
7. შშმ პირებთან ფოკუს ჯგუფის ჩატარება ჩასანაცვლებელია კვლევის სხვა მეთოდით ვინაიდან შშმ პირებს, გარდა იმისა რომ უნდობლობა აქვთ ოფიციალური ადგილობრივი ორგანოების მიმართ არ შეუძლიათ გადაადგილება ადაპტირებული ტრანსპორტის არარსებობის გამო.